ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · კვირა, 10 ნოემბერი 1996 №118 (343) · ფასი 30 თეთრი


## საქართველო 0:2 ინგლისი

# მეხუთე მარცხი ზედიზედ

## სირცხვილი ეროვნული დღესასწაულის ნაცვლად

## მშვიდობით, საშა



- მეხუთე მარცხი ზედიზედ
- 1:11 ბოლო ხუთ მატჩში
- ბოლო სამი თამაში უგოლოდ
- საფრანგეთი ოცნებადვე დარჩა

# ნაკრების მწვრთნელი უნდა შეიცვალოს!

### თამაშამდე

თბილისი. 1996 წელი. 9 ნოემბერი. მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საშინაო შესარჩევი მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის. აუთსაიდერი — შესაბამისად, საერთო განწყობა — ოპტიმისტური. ბილეთების ფასი — მაღალი. მაყურებელი — ბევრი. ცარიელი ადგილი — ცოტა.

14 საათი. უკვე გადაკეტილი ქუჩები, აღმაშენებლის და წერეთლის ჩახერგილი გამზირები. პოლიციელთა ზღვა.

14.30. პირველი იერიში ეროვნულ სტადიონზე და პირველი შთაბეჭდილება: კორდონი მაგრად დგას. სააკრედიტაციო [illegible] ჯერ-ჯერობით ჭრის. პრეს-ლოჟა — აქ ვეტერანები და დიდ-დიდი პოლიციელები სხედან. მოვა დრო, ადგილმა მოუწევთ. მანამდე კი დაუპატიჟებელი სტუმრებივით ვართ.

15.30. უკან ერთი საათია, წინ — საათნახევარი და კიდევ 90 წუთი.

მინდორზე ინგლისელები გამოვიდნენ. გაზა არ ჩანს. მოედნის ცენტრში ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქიდან ჩამოსული დგანან, თეთრი და შიგადაშიგ შავი, სულ დარჩეული ბიჭები.

16.30. მოედანზე ყველაზე ექსცენტრიული ინგლისელი გესქოინი გამორბის. მის უკან მთელი ინგლისია, გაზასადმი კეთილად განწყობილიც, უფრო კი ზიზღით განმსჭვალული. მის უკან ნაცემი ცოლია და პრესისა და საზოგადოების რისხვა. მის უკანაა ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი გლენ ჰოდლი და მისი გუნდი. იმავ დროს ჩვენებიც გამოდიან. გაზამ მათ კატასავით გადაურბინა. თითქოს არაფერი, ეს მხოლოდ ცრურწმენაა, მაგრამ, ვაი რომ, მაინც ახდება.

16.40 სტადიონი ნელ-ნელა ივსება (მაინც არ [illegible]). აქვე არიან ინგლისელი ფანები, რომლებიც ამ დღეს ცხოვრებაში ყველაზე ცოტას იღრიალებენ. მათ ყველა მცდელობას ქართველთა გამაყრუებელი სტვენა ჩაახშობს (საკვირველია, კიდევ სად ქომაგობენ თავის გუნდს ასე). ინგლისელი გულშემატკივრები ინგლისისა და ბრიტანეთის დროშებს ამაყად გადმოაფენენ. ყველას თავისი დამღა აქვს — ქალაქის, საგრაფოსი თუ კლუბის. მომხვდურთა დროშები თითქმის ყველგანაა. ეს ყველაფერი გაფინული ცეცხლის [illegible] გამოიღეს ხელი, თუმცა უფრო მოკრძალებულად. აქა-იქ სისხლის წვეთებივით ჩანან საქართველოს ეროვნული ალმები. მხოლოდ ერთგან გამოუფენიათ [illegible], ზედ ინგლისური (მკრეხელობა) წარწერით: GO_ GO_ GIO. და კიდევ: აღმოსავლეთი ტრიბუნის იარუსის მოაჯირზე მოზრდილი 5:0 წერია, ინგლისელებს უელსელთა გამანადგურებელი მარცხი რომ უნდა მოაგონოს (?!)

16.55. გუნდები ხელახლა გამოდიან მინდორზე. 5 წუთში თამაში იწყება. ინგლისელები ღრიალებენ, მაგრამ მათ ღრიანცელს ხმაშეწყობილი „სა-ქართ-ვე-ლო! სა-ქართ-ველო!" ნთქავს. ეს ამ დღეს პირველად ხდება, უკანასკნელადაც. სხვა დროს სათქმელს სტვენა და „გოლი! გოლი!" ამბობს, რომელიც აშკარად ზედმეტია.

16.58. თამაშის დაწყებამდე წამები რჩება, დამთავრებამდე საუკუნესავით გაჭიმული საათნახევარი. „ღმერთო, ჰფარვიდე დედოფალს" და „დიდება"...

17.00. თამაში დაიწყო. ბურთი ჩვენია, ინგლისელებმა მოედანი აირჩიეს. მათი კარი სამხრეთის ტრიბუნისკენაა. უელსთან პირიქით იყო (ესეც ცრურწმენაა, თუმც მართლა ცუდად დავცადეთ). ამას მაინც არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ფეხბურთში მთავარ როლს მოთამაშე და მწვრთნელი კისრულობენ, არა მოედანი, ფორმა („კაპასია"-ის თუ „ადიდასის") ან ბუცი.

### 1-15

თავიდანვე ინგლისმა შემოგვიტია. მე-2 წუთზე შერინგემმა გესქოინს კარგი პასი შეუყოლა საჯარიმოში, მაგრამ მას ლობჟანიძემ წაართვა. სამ წუთში ლობჟანიძე კვლავ დაუძლეველი გამოდგა სტუმართათვის. ფერდინანდს, ცხადაძეს იოლად რომ გაექცა, ქართველთა მარჯვენა ცენტრალურმა მცველმა ტანი ჩაუდგა და ბურთი პირით ხაზს იქით გაუშვა. ერთ წუთში ბექემი მარჯვენა ფრთაზე კობიაშვილს გაექცა და მისი ჩაწოდება ცხადაძეს თავისი კარისკენ რომ აეჭრა, ზოიძემ აილო. უკვე მესამედ გადავრჩით. პირველი 5 წუთისთვის ეს ბევრიც იყო. ქართველებს ხელი უნდა გამოელოთ, თუ ამის ძალა შესწევდათ. მეტოქემ მათ შანსი მისცა. მარცხენა მცველი საუთგეიტი ქეცბაიასთან ბრძოლაში მოულოდნელად წაიქცა და ქეცბაიამ შოთას, ბრწყინვალე პასი მისცა, მან კი იჩქარა: ბურთი კემპბელსა და ადამსს შორის კი გააძვრინა, მაგრამ სიმენის კარს ძლიერ ააცილა. მე-11 წუთზე ანგარიშის გახსნის კიდევ ერთი შანსი ვერ გამოვიყენეთ. ცხადაძემ კუთხურიდან ქინქლაძის მიერ ჩაწოდებულზე ყველას დაასწრო, თვით ბრიტანელებზე მაღლა ახტა, მაგრამ ისე, რომ ხელს არავინ უშლიდა, კვლავ უზუსტოდ გაგზავნა ბურთი კარისკენ. ეს გოლის გატანის ბოლო შანსი არ იყო. სამ წუთში ქეცბაიამ ჯარიმიდან ნემსაძის მიერ ჩაწოდებული ბურთი საუთგეიტს თავზე გადაუტარ-გადმოუტარა, კარისკენ გაექცა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან კიდეც დაარტყა, მაგრამ სიმენმა კუთხე ჩაკეტა და კარისკენ უმოკლესი გზა მოჭრა. იმავწუთს ჩვენს შეტევას ინგლისელებისა მოჰყვა. შერინგემის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი შელიამ კუთხურზე მოიგერია. გესქოინმა კარგად კი ჩამოაწოდა, მაგრამ მსაჯმა მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირა და სტუმრები დააჯარიმა.

იხილეთ მეორე გვერდი

## მსოფლიოს ჩემპიონატი

II შესარჩევი ჯგუფი

თბილისი, ეროვნული სტადიონი, 9 ნოემბერი

## საქართველო 0:2 ინგლისი

1. ზოიძე
3. ცხადაძე
2. ლობჟანიძე 4. შელია
7. ნემსაძე
6. გოგიჩაიშვილი 5. კობიაშვილი
10. ქინქლაძე 8. ჯამარაული
9. ქეცბაია 11. შ. არველაძე

9. ფერდინანდი 10. შერინგემი
8. გესქოინი 4. ინსი
3. ჰინჩკლიფი 7. ბექემი
11. ბეტი
6. საუთგეიტი 2. კემპბელი
5. ადამსი
1. სიმენი

შეცვლა: შ. არველაძე — 14. გოგრიჭიანი (52), გოგიჩაიშვილი — 17. ღუდუშაური (78), ფერდინანდი — 18. რაიტი (82)

0:1 შერინგემი (15), 0:2 ფერდინანდი (37)

გაფრთხილება: ლობჟანიძე, ბექემი.

მთავარი მსაჯი: მონტეირო კოროადო.

კუთხური 2:2; ჯარიმები 14:15; თამაშგარე 3:3; კარში დარტყმა 5:5

ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ტაიმის პირველი მესამედი მშრალად გალეულიყო, მაგრამ ეს შერინგემმა არ ინდომა, გესქოინის ბრწყინვალე გრძელ გადაცემას ბოლომდე მისდია და შელიას ვარდნაში ბურთი ფეხქვეშ რომ გაექცა, შერინგემს ბევრი აღარ უფიქრია, წინგამოსულ ზოიძეს თავზე შორიდანვე გადაუგდო. ამ პირველ 15 წუთში მთლად ცუდად არ გვითამაშია, თუ ჩვენი მცველების (ლობჟანიძის გამოკლებით) უხეშ შეცდომებს და ფლანგების ინერტულობას არ ჩავთვლით. ამ ხანში რაც გააკეთა ჩვენმა ნაკრებმა, მეტჯერ აღარც გააკეთებინეს და არც ქართველებს უცდიათ. მიუხედავად დასაწყისში თანაბარი თამაშისა, გოლი ჩვენ მივიღეთ. გოლი, რომელმაც ყურები მთლად ვერ ჩამოგვაყრევინა, მაგრამ ვერც მეტი ქინი და მონდომება შეგვმატა.

### 15-30

პირველი ტაიმის მეორე მესამედი შედარებით უინტერესო და საგოლე მომენტებით მწირი გამოდგა, მაგრამ ამ მონაკვეთში სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა. სწორედ აქედან დაიწყო ინგლისის ნაკრებმა თავისი თამაშის კარნახი, რასთან ერთადაც აშკარად გამოჩნდა, რომ ქართველებს ასეთი რამ არ შეეძლოთ. ინგლისელებმა, გოლი რომ გაიტანეს, გული საგულეს დაიგულეს და მშვიდად, წყნარად, აუღელვებლად შეუდგნენ თავიანთი საქმის კეთებას. „მათი საქმე" საკმაოდ უჩვეულო გახლდათ. ასეთი პრაქტიკული, უკეთ, პრაგმატული ფეხბურთი ინგლისელებს ცხოვრებაში არ უთამაშიათ. მთელი მატჩის მანძილზე მათ ორთავ ხელის თითებზე ძლივს ჩამოსათვლელი კომბინაცია და კარში დარტყმა შეასრულეს და თუ სჭირდებოდათ, ბურთს საითაც მოუხდებოდათ, იქით იგერიებდნენ, დაცვაში ბეტონის კედლებივით იდგნენ და ბურთის ასართმევად ერთ კაცს ერთდროულად სამ-სამნი დასდევდნენ, მთელი თამაშის მანძილზე ქართველებს პრესინგის მარწუხებით აშთობდნენ და შედეგიც მოიმკეს. აშკარა იყო, ჰოდლს საქართველოს ნაკრების თამაში ზეპირად ჰქონდა დასწავლილი, ასევე დაასწავლა იგი თავის მოთამაშეებს, ჩვენების თამაშის ჩაშლის ტაქტიკაც მოიფიქრა და ფეხბურთელებიც შესაბამისი შეარჩია. ჰოდლს არ დასჭირვებია ოდენ შემტევი მაკმანამანის, თამაშის დამწყობი პლატისა თუ ლე ტისიეს დახმარება. ის, რაც მას სურდა, გუშინ ბეტზე, ჰინჩკლიფზე და კემპბელზე უკეთ ალბათ არავის შეეძლო. თუ ინგლისელის ეს განზრახვა გაამართლებდა, ქართველებისთვის შესატევად ალბიონელებს ინსი, გაზა და ფერდინანდ — შერინგემის დუეტიც ეყოფოდათ. გაამართლა.

ჩივაძესაც ბევრი უფიქრია.. სტუმარს, რომელიც ორი თავდამსხმელით გეთამაშება, აუცილებლად 3 მცველით უნდა ეთამაშო, ფორვარდი შენც ორი უნდა დააყენო, ოღონდ ერთი აუცილებლად ისეთი, ფეხი რომ სტკივა (სხვა გზა არ ჰქონდა, უშოთაოდ იტალიაშიც გაგვიჭირდა) და მეორეც ისეთი, რომელსაც ნახევარდაცვაში ენით აუწერელი სარგებლის მოტანა შეუძლია, თავდასხმაში კი წინა შეხვედრაშიც ვერ გაამართლა. ნახევარდაცვის ცენტრში სამი კაცით უნდა წარდგე, ოღონდ ქინქლაძეს ართმევაზე თამაში აიძულო (?!), ჯამარაულს კი პასის გაცემა (იგი ხომ უფრო დრიბლინგს ემალება) ერთ-ერთი ფლანგის გადაკეტვაც აუცილებლად ისეთ კაცს უნდა დაავალო, რომელიც უკან ცოცხალი თავით არ ჩამოვა და თუ ჩამოვიდა, კაცს ბურთს ვერ წაართმევს. სხვა ვარიანტი არ არსებობს. სხვაგვარად ინგლისს ვერ აჯობებ...

შედეგი სახეზეა.

ჩვენი დაცვა მეტოქის თავდასხმას ვერ გაუმკლავდა, ნახევარდაცვამ ინგლისის შუა ხაზს (ნახევარი ძალით რომ თამაშობდა) ვერაფრით აჯობა, თავდასხმამ კი, ქეცბაიას კარგი თამაშის მიუხედავად, ლოთყოფილი ადამსი და ყველაზე სუსტი, კემპბელიც კი ვერ დაჯაბნა. ეს ყველაზე უკეთ მეორე თხუთმეტწუთეულში გამოჩნდა. მერე და მერე ყველაფერი უკეთაც გაიშიფრა, მაგრამ უკვე ამ მომენტისთვის ცხადი გახდა, ჩივაძეს წამგებიანი ტაქტიკა (როგორც პრეს-კონფერენციაზე განაცხადა — 3-5-2) აერჩია და არც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, მას ვინ შეასრულებდა. ნაკრების მწვრთნელი თვლის რომ 3-5-2 ან 4-4-2 ტაქტიკაა (?!) ამის მერე რაღას უნდა ელოდე. მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცით, არც მაყურებელმა იცის, წინ კიდევ 75 წუთია და იმედი გვაქვს...

პირველი ნახევრის მეორე მესამედში გუნდებმა თითო მომენტი გაცვალეს. ინგლისელმა ბექემმა შეტევა აცილებული, მაგრამ მაინც კარში დარტყმით დაასრულა, ჩვენებმა კი იერიში თავისივე შეცდომით, მოუზომავი, უზუსტო პასით ჩაშალეს.

### 30-45

საერთო სიტუაცია არ იცვლება, ჩვენები ცოდვილობენ, ინგლისელები კვლავ თავიანთ თამაშს განაგრძობენ.

34-ე წუთზე ნემსაძე წინ გახსნილ გოგიჩაიშვილს ამჩნევს და გრძელი პასით მეკარესთან მის გაყვანას ცდილობს, ეს არც მეტოქის დაცვას რჩება შეუმჩნეველი და გოგიჩას თამაშგარეთ სტოვებენ. მეტიც, სამ წუთში შერინგემი ამჩნევს, რომ ფერდინანდი თავისუფალია და სვლაზე გრძელ გადაცემას უკეთებს, ის კი ცხადაძეს ხახამშრალს ტოვებს და ვიდრე ადევნებული ლობჟანიძე ხელს შეუშლიდეს, ზოიძეს ახლო, ჩაუკეტავ კუთხეში შორიდანვე უტანს. ანგარიში მრავლისმთქმელია, რაც მთავარია, ინგლისელთა სასარგებლოდ 2:0.

ტაიმის ბოლოს კი გოგიჩაიშვილის ჩაწოდებულ ბურთზე სიმენი გამოდის, შელიას უაზრო ჯარიმას კი ინსის მეცლის პრესი კედლიდან ასხლეტილი კაუჩუკის ბურთივით იგერიებს.

### 45-60

დასაწყისშივე ქართველები ორ შეტევას ახორციელებენ, ორივე იშლება და უფრო ჩვენებურთა გამო. ამას შოთას გოგრიჭიანით შეცვლა მოსდევს, შეცვლა დროულია, მაგრამ ნაკლები სარგებლის მოტანა შეუძლია. არა იმიტომ, რომ გოგრიჭიანი ფეხმტკივან შოთაზე უარესად გაირჯება, უბრალოდ, საეჭვოა, ბურთმა მასთან მიაღწიოს, გოჩა ქეცბაიასთან წყვილში მაინც ცდილობს თამაშში ცვლილებების შეტანას, ბევრს მოძრაობს, იხსნება, მაგრამ ამაოდ.

ქართველები ამ ხნის მანძილზე კიდევ ორჯერ უტევენ, ერთხელ სიმენი ქეცბაიას ასწრებს, მეორედ კი ადამსი კობიაშვილის ჩაწოდებას იგერიებს. ინგლისელები თავს ძველებურადვე კარგად გრძნობენ. ისინი უპანიკოდ იგერიებენ ბურთს. შეიძლება ითქვას, ინსი სტატისტივით დგას მოედანზე, გაზა კი, უბრალოდ, ოინბაზობს.

### 60-75

ამ ეპიზოდში სახიფათოდ მხოლოდ ინგლისელები გვიტევენ. გული კიდევ სამჯერაც შეგვიფრთხიალდება. პირველად ბექემის აცილებული დარტყმისას, მერე კი ბეტის ფუმბარისებური დარტყმის და ჰინჩკლიფის სახიფათო ჩაწოდების დროს, რომლებსაც ზოიძე ეუფლება.

ქართველები სულ მაღლა ულებენ თამაშს. შეტევას კი ცდილობენ, მაგრამ რაღაც გაჩნდება. თამაში უფრო ხელბურთს ემსგავსება, ხანაც პინგ-პონგს, მოკლე დაკოდეთვლულ პასებით. ეს ფეხბურთი აღარ არის. არადა, ერთი თვის წინანდელი ქართველთა იტალიელ მატჩი გვახსენდება. ქართველები არც იქ ბრწყინავდნენ, მაგრამ რაკი გოლის გატანაზე იტალიამ მეორე ტაიმში აღარ გარისკა და დაცვაში დაიხია, თამაშის საშუალებაც მიეცა. ეს კი ჩვენებმა გამოიყენეს და სწორი ფეხბურთის ფრაგმენტები აჩვენეს. მაშინ თითქმის მთელი გუნდი ნორმალურად გამოიყურებოდა. გუშინ კი მსგავსი არაფერი, მხოლოდ ლობჟანიძემ, კობიაშვილმა, ქინქლაძემ, ქეცბაიამ და ნემსაძემ თამაშის ამ მინიმუმზე მეტ-ნაკლებად მაღალ დონეზე, რაც მათგან სხვა დროსაც გვინახავს. სხვები კი...

გუნდი ასე უცებ ასეთ რეგრესს არ განიცდის ხოლმე. აქ საქმე სხვა რამეშია. წარუმატებლობათა სერია რუმინეთში დაიწყო და დღემდე გაგრძელდა. მის გასაანალიზებლად და თამაშის გასაუმჯობესებლად კი ჩივაძემ არაფერი, უკეთ, ვერაფერი მოიმოქმედა.

### 75-90

ამ დროში ქართველებმა მთელი ძალა მოიკრიბეს. ინგლისმაც შეცდომების დაშვება იწყო. ჯერ გოგრიჭიან — ქინქლაძე — ქეცბაიას კომბინაცია საჯარიმოში ამ უკანასკნელის მიერ კობიაშვილისთვის ბურთის ხელსაყრელ სიტუაციაში დაგდებით დასრულდა. კობიმ ააცილა. მერე ქინქლაძეს საჯარიმოსკენ გზად სამი კაცი მოატყუა იქ კი დასცეს, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა. ბოლოს ღუდუშაურმა შორიდან დაარტყა, თუმცა სიმენმა აუღო. ამათ შორის კი ბექემმა შერინგემის ჩაწოდებულ ბურთს ზედ ახლო ძელთან ფეხი ააცილა. ბოლო წუთებში ინგლისელებმა ბურთი გაგვიგორეს. დაგვიმალეს მათ აღარავინ ებრძოდა.

ნაკრების უსუსური თამაშით აღშფოთებულმა ქართველმა გულშემატკივარმა გაუგონარი რამ ჩაიდინა: მოედანზე კოკა-კოლას ცარიელი ბოთლები გადმოყარა და ამით თავისებურად გამოხატა პროტესტი.

### თამაშის შემდეგ

19.00. უკვე ღამეა. ხაღლაც საათი შვიდჯერ რეკავს მძიმედ და აუჩქარებლად. ჩვენს ნაკრებს ვერც ფედერაციის ახალ ემბლემაზე გამოსახული შვიდი მნათობი შველის, ვერც ბოლნური ჯვარი იფარავს. თამაშის დამთავრებიდან არც ისე დიდი დრო გასულა. ეს დრო მაინც საკმარისია მომხდარის გასააზრებლად. საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის პრაქტიკულ შანსს კარგავს (თეორიულად ჩვენ ჯერ საფრანგეთში ვართ). მაინც მგონია, რომ ინგლისთან მარცხი ევროპისთან წაგებაზე ნაკლებ განვიცადეთ. არადა: ინგლისსაც მოუგო (ევრონლებით? ეგეც ხომ თამაშის ნაწილია) და სხვებსაც. იტალიელ ტიროლამდე დამანებული სახელება. წინ არეული მომხსენებ პერსპექტივა. ამ თაობამ რაიმე რეალური შედეგის მიღწევის დიდი შანსი დაკარგა. მაშ როდისღა ვახადება ფეხბურთელი?

ამ მატჩს მთელი საუკუნე ველოდით. ეს დღეც დადგა. ერთმა ახლობელმა საკუთარი ქორწილი კვირისთვის გადადო. შაბათს ფეხბურთია, ვის ექორწილებაო.

შაბათი ჩაგვიშხამდა. მთელი საუკუნის ნალვაწი წყალში გადაგვეყარა. აწი თამაშს ლამის აზრიც აღარა აქვს — ერთ ადგილს ვატკეპნი. თუმცა, ზოგნი თვლიან, რომ ესაც საჭიროა, იმ ადგილზე ფეხი კარგად რომ მოიკიდო და წინ დაძვრისას საყრდენი არ გამოგეშალოს. მთავარია, უკანარ წავიდეთ. ისე, ამის უკანაც რაღაა?

ირგვლივ კვლავ დაღვრემილი სახეებია. ახლა აქაურობას „ბრითენია" და „აბაულა" მოუხდებოდა. ესაც აღარავის ახსოვს. ისე, გუშინწინ ფოთელებს 12:0 მოუგიათ ინგლისელი მეზღვაურებისთვის.

ისტორია ხშირ-ხშირად მეორდება და თავიდან იწყება. ჩვენს შანსს კიდევ დიდხანს უნდა ველოდოთ და მანამდე საკადრისად ვემზადოთ ყველანი, ცალ-ცალკე და ერთად. ჩვენ ჯერ 6 წლისა ვართ. ჯერ ხეირიანად სიარულიც არ ვიცით. სლალომი კი ვერაფერი ბედენაა, რადგან ფეხბურთიც უდაბნოა და თუ ვეცდებით, გარს შემოვუაროთ, მხოლოდღა თავს გავიტანთ, ლელოს კი ვერა. თუ ყველაფერი საკუთარ თავზე არ გამოვცადეთ, ეს უდაბნო ჩვენი ოფლით არ გავპოხეთ და გრანდიოზულ პირამიდებზე ამოკვეთილი სიბრძნე არ შევითვისეთ, ისე არაფერი გამოგვივა.

P.S. ჭკვიანნი სხვის შეცდომებზე სწავლობენ, ჩვენ საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ.

**ვახტანგ ზზიკაძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**





ლეს ფერდინანდი ქინქლაძისა და ლობჟანიძის გარემოცვაში.

## კარში დარტყმები

3. ცხადაძე 5. კობიაშვილი 8. ჯამარაული
9. ქეცბაია 11. შ. არველაძე 17. ღუდუშაური




7. ბექემი 9. ფერდინანდი 10. შერინგემი

# მატჩის შემდეგ

საპრესკონფერენციო დარბაზში გლენ ჰოდლი და ალექსანდრე ჩივაძე ერთდროულად შემოვიდნენ. ჰოდლს ინგლისის ნაკრების პრეს-ატაშე დევიდ დევიდსიც შემოჰყვა პირველი სიტყვა, ტრადიციულად, სტუმრებს ერგოთ, სხვა თუ არაფერი, აეროპორტში მიეჩქარებოდათ. ჰოდლმა ჯერ ქართველი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

— ჩვენ დიდი მონდომებით და სერიოზულობით ვემზადებოდით თბილისური თამაშისთვის. ვაღიარებ, რომ გუნდმა ნაყოფიერად იმუშავა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ჩვენ ორი საგოლე მომენტი გამოვიყენეთ, საკუთარი კარი კი ხელუხლებელი დავიტოვეთ. საქართველოს ნაკრებისგან უფრო მეტს ველოდი, ვემზადებოდით ძალზე ძნელი თამაშისთვის, მაგრამ გამარჯვებისაც მტკიცედ გვწამდა. თქვენი გუნდი ტექნიკურ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ დღეს ჩვენ მათ თამაშის საშუალება მოვუსპეთ. ქართველებიდან ქეცბაიას გამოვყოფდი, იგი ძალზე სახიფათო მოთამაშეა. კარგია გიორგი ქინქლაძეც, ის მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ დღეს ჩვენ შევძელით მისი განეიტრალება.

–რაც შეეხება იმას, რატომ არ ითამაშეს მაკმანამანმა და სხვებმა, ეს ყოველივე მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია. ვთვლი, რომ გუნდის შემადგენლობა სწორედ შევარჩიე და გავიმარჯვეთ კიდეც–

–მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ეს იყო ინგლისის ნაკრების ჯერჯერობით საუკეთესო თამაში. ჩვენთვის მთავარი ის იყო, მატჩი მოგვეგო, თორემ რა ანგარიშით დამთავრდებოდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

–სიმართლეს ვიტყვი და, ნუ მიწყენთ: „უემბლიზე" პოლონელებთან უფრო ჭაგვიჭირდა, ვიდრე დღეს თქვენთან–

–საქართველოს ნაკრების კრიტიკა ჩემი საქმე არ არის, ამისთვის თქვენებურებს მიმართეთ, ერთს კი დავძენდი, აშკარად გეტყობათ, რომ ასეთი თამაშისთვის საჭირო გამოცდილება არ გყოფნით–

ამის მერე, ჰოდლი ინგლისელი ჟურნალისტების განკარგულებაში აღმოჩნდა. მათ შინაურულად, თითქმის ჟარგონზე ილაპარაკეს და, სიმართლე გითხრათ, ბევრი ვერაფერი გავიგეთ. მერე ჰოდლმა და დევიდსმა თავაზიანად დაგვიკრეს თავი დარბაზიდან გავიდნენ და ჩვენი ინგლისელი კოლეგებიც გაიყოლიეს.

ინგლისელების წასვლის შემდეგ ერთმანეთს ჩივაძე და ქართველი ჟურნალისტები შევრჩით. სიმართლე თუ გსურთ, მოვახსენებთ: დარბაზში მსხდომთაგან ცოტას თუ სჯეროდა, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცი პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდებოდა. მიზეზად იმას ასახელებდნენ, ადრინდელი დამარცხებებისას ასე იყოო. ჩივაძე მაინც მოვიდა, ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე კი ეს გვიპასუხა:

–დღევანდელ თამაშზე უძლიერესი შემადგენლობა გვყავდა, ვერ ვიწუწუნებთ იმაზე რომ ტრავმებმა შეგვაწუხეს და ამის გამო მოთამაშეები გამოგვაკლდნენ, ეს მხოლოდ შოთა არველაძეზე შეიძლება ითქვას, მას მუხლი აწუხებდა და მთელი ძალით ვერ ითამაშა. ასეთი მაღალი რანგის შეხვედრაში მთავარი სათქმელი ლიდერებმა უნდა თქვან, მაგრამ დღეს გამოცდილ-გამობრძმედილი ფეხბურთელებიდან ხუთმა-ექვსმა საკმაოდ სუსტად ითამაშა. ეს ფეხბურთელები ისეთი დონისანი არიან, ასეთი უხეში შეცდომები არ უნდა დაუშვან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უამრავი ხარვეზი გვქონდა ელემენტარულ სიტუაციებში. იმის ნაცვლად, ბურთი დაგვეჭირა და მეტოქეს ერბინა ასართმევად, ამის კეთება ჩვენ მოგვიწია, ბურთის ართმევას კი უდიდესი ენერგია მიაქვს–

–ვერაფრით გამიგია, რა მოსდით ჩვენს მოთამაშეებს. ისინი ამდენს თამაშობენ, ამდენი გამოცდილება დაუგროვდათ, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება და ყველაფერი თავიანთ თავზე უნდა აიღონ, მაშინ ვერ ავლენენ შესაძლებლობებს. ფსიქოლოგიური ჩავარდნები აქვთ. კიდევ იმაზე დავფიქრდეთ და ვთქვათ, სად და რომელ კლუბებში თამაშობენ ჩვენი ფეხბურთელები. სანამ ესენი ნორმალური საფეხბურთო ქვეყნის ძლიერ კლუბებში არ მოხვდებიან, მანამდე საშველი არ იქნება–

–სამომავლო იმედს იმაში ვხედავთ, რომ უნდა ალვზარდოთ მაღალი კლასის ფეხბურთელები–

–რა სტიმულზე შეიძლება ლაპარაკი: პრემიალურს რომ თავი დავანებოთ, ეროვნული გუნდის წევრმა მინდორზე ყველაფერი უნდა გაიღოს, თავგანწირვით იბრძოლოს ქვეყნის ღირსებისთვის. ჩვენში კი ყველაფერი უკუღმა ხდება–

–ჩვენმა მოთამაშეებმა კარგად იცოდნენ, რომ ინგლისელებს შეეძლოთ ხისტად ეთამაშათ, არ მიეცათ ფეხის გაძრევის საშუალება. ფეხბურთელებს ინგლისის გუნდის თამაშის 6 ჩანაწერი ვუჩვენეთ, ვუთხარით, არ არის ჯამორიცხული, ტრადიციული 4-4-2 3-5-2-ით შეცვალონ– მაინც არაფერმა გვიშველა. არა, მეტოქე საფუძვლიანად გვყავდა შესწავლილი, მაგრამ–

–კი შეიძლება, ვისაუბროთ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის პრაქტიკულ და თეორიულ შანსებზე, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის, საჭიროა, ბიჭებმა თავიანთ თავზე იმუშაონ–

–მე და დანარჩენ მწვრთნელებს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ყოველთვის აგვიღია ჩვენს თავზე. შეცდომებიც გვიღიარებია, მაგრამ რა ვქნათ, როცა ლამის ნახევარი გუნდი, ისინი, ვისი იმედიც გაქვს, ძალზე სუსტად თამაშობენ. ასეთი დონის თამაშებში სხვა ვინ დავაყენოთ, პატარებს ხომ ვერ გამოვიყვან–

–იმ ფეხბურთელების გვარებს, რომელთაც იმედები გაგვიცრუეს, სახალხოდ არასდროს დავასახელებ, ისე კი, კარგად ვიცი, ვის რა შეუძლია და რა არა–

–ქვეჯგუფიდან რომც ვერ გავიდეთ, მიზანი მაინც ყოველთვის უნდა დაისახო. აბა, რას იტყოდით და რა ამბავი ატყდებოდა, ჩვენ რომ თავიდანვე გვეთქვა: მორჩა, ქვეჯგუფიდან ვერ გავალთო–

–ძალიან ოიოი სურვილი გვქონდა, იმ[illegible]ლისში ამხანაგურ თამაშზე ვინმე მოვიწვიოთ, მაგრამ მეზობლების გარდა ჩამოსვლაზე ყველა უარს გვეუბნება. ამბობენ, ჯერ ჩვენთან ჩამოდით, თქვენსას კი ორი წლის შემდეგ შევხვდეთო. მოგეხსენებათ, არგენტინის ეროვნული გუნდის ჩამოყვანაზე ვმუშაობდით. არ გამოვიდა ეს საქმე, ჩაიშალა–

–შესვენებისას გასახდელში შემოსულ ფეხბურთელებს ვუთხარი — არ მესმის, საიდან მოიტანეთ ასეთი გაუბედავი ბურთაობა-მეთქი, გარკვეული მითითებებიც მივეცი, მოინდომეთ და მაყურებელს რაღაც ანახეთ, ისინი მხარს დაგიჭერენ-მეთქი, მაგრამ თამაშისას არაფერი გამოვიდა–

დასასრულს ალექსანდრე ჩივაძემ თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაასრულა:

— ძალზე სამწუხაროა, რომ წავაგეთ, ისიც ცუდია, ფეხბურთელებმა შესაძლებლობები ბოლომდე რომ ვერ გამოავლინეს. მადლობლები ვართ თქვენი, გვერდში რომ გვედექით და შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდით. წაგებამ დაგვანახა, რომ ყველას თავდადებული შრომა გვმართებს, ისე არაფერი გამოვა.

**მამუკა კვანტალიანი**

## სკოტლანდ-იარდი უსაქმოდ დარჩა

შარით ცნობილ ინგლისელ გულშემატკივართა თბილისში სტუმრობას ხათაბალა რომ არ მოჰყოლოდა, სკოტლანდ-იარდის წარმომადგენლებმა ჩვენს პოლიციას დახმარება და თანამშრომლობა შესთავაზეს. თამაშამდე ინგლისის ამ სპეც-სამსახურის ერთ-ერთ წარმომადგენელს გავესაუბრე. გავესაუბრეო, კი ვამბობ, მაგრამ არ იყო ეს იოლი საქმე: რომ გაიგო, ჟურნალისტს ესაუბრებოდა, სკოტლანდ-იარდელმა ჯერ შორს დაიჭირა, ჩემგან რა გინდათ, ერთი ჩვეულებრივი გულშემატკივარი ვარო, მაგრამ მერე–

ან კი ისეთს რაღას ვკითხავდი და მაინც ორიოდ „უმტკივნეულო" ცნობა მიწილადა: თამაშზე 500 გულშემატკივარია ჩამოსული და ყოველგვარი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად მათი წინასწარი „ფილტრაცია" მოვახდინეთ. აქ ჩამოსულთაგან არცერთი ხულიგნობაში არ შემჩნეულა, მაგრამ სიფრთხილე მაინც აუცილებელია და ჩვენი ჩამოსვლაც ამიტომ ვცანით საჭიროდო.

ინგლისელი პოლიციელის ნათქვამის სარწმუნოობაში თამაშმაც დაგვარწმუნა: ინგლისელ ფანთა მშვიდობიანმა საქციელმა ჩვენი პოლიციაც და სკოტლანდ-იარდიც უსაქმოდ დატოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

**ზურაბ მეძველია**

**ლონდონიდან**



# წადი რა, ტოლი ნახე...

–და ბურთის კი არა, ჯერ კოჭის გაგორება ისწავლეთ — ქართული რომ სცოდნოდა, ნაღდად გვეტყოდა ჩვენი ინგლისელი მეგობარი საიმონ ჰუპერი, ათ ქართველს რომ წაგვიძღვა პაბში შაბათის მატჩის სანახავად. საბედნიეროდ, საიმონმა ქართული არ იცის, მაგრამ ისეთი გადმომხედა... ასე, ალბათ, ცხოვრებაში არ შევრცხვენილვარ — რაც მე მაგას ტვინი წავუღე, შაბათს განახებთ-მეთქი.

–ლონდონის რუსული ეკლესიის ეზოში ყოველ შაბათს აქ მყოფი ქართველები — გია ფოცხვერია და მაიკო პეტრიაშვილი პატარა ლონდონელი ქართველებისთვის მშობლიური ენის უფასო გაკვეთილებს ატარებენ. პირველად ამ ბოლო ხნის განმავლობაში გაკვეთილი არ ჩატარდა — გია SKY-ის მიწვევით ტელეკომპანიის სტუდიაში უყურებდა მატჩს, მაიკო კი თავის მეუღლე ზურასთან ერთად ჩვენს გვერდით იჯდა „როიალ ოუქში". აქვე იყო დათო მჭედლიშვილი, „მანჩესტერ სიტის" მაისური რომ ეცვა ქინქლაძის გვარით. მეორე ტაიმის დაახლოებით ათი წუთი იყო გასული, დათომ ქურთუკი შემოიცვა — მრცხვენია, რომ ქართველი ვარ. თუ ვინმეს ჰგონია, ეს მისთვის, თუნდაც ლონდონელისთვის, ადვილი სათქმელი იყო, ძალიან ცდება; აქვე იყო დათოს მეუღლე ქეთინო, პატარა ლიზა შინ რომ დატოვა და შემოგვიერთდა. ლიზა კიდევ ერთი ჩვენი მეგობრის, ნინო კუტიაშვილის ორ პატარასთან ერთად შინ კი იყო, მაგრამ იცოდა, რომ ყველანი ძალიან მნიშვნელოვან რაღაცას ველოდით. ნინოს უფროსი შვილი, 11 წლის გუკა დედის წინ, ლუდხანის იატაკზე (სკამები აღარ გვქონდა) იჯდა და პირველად ცხოვრებაში უყურებდა იმ გუნდის თამაშს, „არსენალთან" ერთად ყველას რომ ურჩევნია. წადი ახლა [illegible] ხსენი, რომ საქართველოს ნაკრე[illegible] ნალსუ" მეტად უნდა უყვარდეს და რომ ეს მატჩი უმნიშვნელოვანესი იყო ქართველებისთვის. „თუ ამხელა მატჩი იყო, ერბინათ მაინც" — იტყვის კაცურ ინგლისურ თამაშს დაჩვეული გუკა თავბერიძე; აქვე იყვნენ კახა აბაშიძე და მისი მეუღლე თამუნა, თამაშის მერე რომ თქვა, ხვალ სამსახურში თავი აღარ გამოვეყოფვაო; აქვე იყო ლიკა ჯაიანი, დილაუთენია ნახევარი ლონდონი რომ გადმოსერა და პირველი 15 წუთი დაქალებთან ერთად ისე რომ კიოდა, ჩვენს გარდა პაბში მყოფი 60-მდე ინგლისელის კიჟინას ახშობდა–

არადა, თავიდან რა კარგ ხასიათზე იყო ყველა. თამაშამდე 1 საათით ადრე მისულებმა პაბში ყველაზე კარგი ადგილები დავიკავეთ. SKY-მ, სანამ მატჩი დაიწყებოდა, დიდი სიუჟეტი უძღვნა თბილისს. „ვაიმე, თონის პური", „ნახე, ნახე, სემიჩკას ისევ ყიდიან"! — ცხადია, ამას მე არ ვიტყოდი.

–„უჰ, რა გრძელი მეორე ტაიმი იყო" — ასე დაასრულა მატჩის კომენტარი რეი უილკინსმა, თბილისში რომ იჯდა და ძალიან გაწვალდა — ხმა ხშირად იკარგებოდა, ერთხელ კი ათიოდ წამით გამოსახულებაც ზედ მიყვა; „ჩვენს პრესას ტყუილად აუტეხია ამხელა ამბავი — საქართველოს ნაკრები სრულიად უუნარო გუნდია და არანაირი იმედი იმისა, რომ ეგენი იტალიას ქულას მაინც დააკარგვინებენ, არ გამაჩნია" — თქვა ტრევორ ფრენსისმა, SKY-ის სტუდიიდან რომ ეხმარებოდა კოლეგებს. აქ ერთსაც ვიტყვი — ტელეეკრანებზე ტიტრები ინგლისურად კი იწერებოდა, მაგრამ ეს თბილისში ქართველების მიერ ხდებოდა. ისედაც სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩენილებს ვიღაც უწიგნურის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები მთლად გვილევდა ბოლოს — ინგლისელთა გვარები ხომ არ იცოდა, ქართველებისაზეც მწყრალად ყოფილა. უკაცრავად ასეთი ტონისთვის, მაგრამ ახლა ტკბილად და ლამაზად რომ ვწერ, არ გაგიკვირდებათ?

–თამაშის მეხუთე წუთი იყო, პირველად რომ დავფიქრდი — ასე რამ დააშინა ეს ხალხი-მეთქი. მთელი ჩემი აქ ყოფნის პერიოდში ვცდილობდი არაფერი გადმომეცა თბილისში ისეთი, ჩვენს ფეხბურთელებს რომ შეაფიქრიანებდათ. შეიძლება ვინმემ თქვას, ამდენი ქება და ცაში აყვანა უარესი იყოო, მაგრამ იყო ეს თავდაჯერებულთა მარცხი? ეს ხომ რატომღაც შეშინებულთა სამარცხვინო წაგება იყო.

ქართველებს ფეხბურთის სწავლება არ სჭირდებათო — გახსოვთ აქაური გაზეთის ფრაზა? თურმე როგორ გვჭირდება!

გესქონის რომ ნამდვილი თბილისი ენახა, შეიცვლებოდაო — ესეც ხომ გახსოვთ? ცხადია, მართალი ნათქვამი იყო, მაგრამ ჩვენში დარჩეს და გაზას რომ გადაეკიდა ყველა, ყველაზე მეტს ის აშავებს? ხომ ნახეთ, თავისი ქვეყნისთვის როგორ იბრძვის, როცა საჭიროა და როცა იცის, რომ ათასი მისი თანამემამულე არ მოერიდა საკმაოდ დიდ თანხებს და სადღაც გადაკარგულში, რატომღაც ხუთი საათით რომ დაშორდა ლონდონს, მის მხარდასაჭერად ჩავიდა. იფიქრა რომელიმე ჩვენმა ფეხბურთელმა, (თავისდა საბედნიეროდ პრესა რომ არაფერს უმხურებს, ისე კი გაზაზე უკეთესია თუ არა, არავინ იცის) როცა მორიდებულად ხტებოდა ჰაერში და ძველი მონათმფლობელივით დასეირნობდა მოედანზე, რომ ხალხმა ნახევარი თვის ხელფასი ამის სანახავად არ გაიღო. გაზა გიჟი, ადამსი ლოთი და ჩვენები ანგელოზები არიან? გაზა რომ გაისარჯა, ისე ვინმე გაისარჯოს და მერე თუ გინდა ცოლი ცემოს გინდ ცოლიხდა.

ვწერ ამ წერილს და კვლავ ერთი კითხვა მიტრიალებს თავში — მაინც რამ დააშინათ? თან ეს ხომ ჩვენს ფეხბურთელებს დასაწყისშივე დაეტყოთ (შესვენებაზე SKY-ის მიმომხილველებმაც მხრები აიჩეჩეს — ყველაფერს ველოდით ქართველებისგან ასეთი სიმხდალის გარდაო). აქაურ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ქართველები იმასაც არჩევდნენ, ჰოდლის გადაწყვეტილება გაზას შესახებ ჭკვიანური იყო თუ არა, მრჩეველი და ფსიქოთერაპევტი სჭირდებოდა გაზას თუ არა. ამის მაგივრად იქნებ ვინმეს თამაშამდე შეეტყო, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ფეხები უკანკალებდათ და ნაკრებში „პერსონა ნონ გრატად" გამოცხადებული ფსიქოლოგი მოეწვია. ტონი ადამსმა მატჩის წინა დღეს 500 გირვანქისა ილაპარაკა ტელეფონით (რატომღაც წუთი 7 გირვანქა დაუფასეს — აქედან თბილისში დარეკვა წუთი 80 პენსი ღირს) და ოჯახს კი არა, სწორედ ფსიქოლოგს ესაუბრა.

–ვიცი, რედაქციის დავალებას პირნათლად რომ ვერ ვასრულებ — მატჩის მერე პაბში მყოფი ინგლისელებისთვის უნდა გამომეკითხა აზრი, მაგრამ ვიმეორებ— ტოლი ნახეთ — ან მსგავსს მოვისმენდი, ისედაც გულგახეთქილს კი ეს ნამდვილად არ მსურდა.

ისე, ტოლი ნახეზე გამახსენდა. მახსოვს, პარიზის წილისყრის საღამოს ქართული ფეხბურთის თავკაცებმა პირველ კომენტარებში თქვეს (უცხოელებისთვის) — მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გამოვდივართ და ამ ტურნირს გამოცდილების მისაღებად გამოვიყენებთო. ცოტა ხანში აღმოჩნდა (ქართველებისთვის), რომ ნაკრების მიზანი საფრანგეთში მოხვედრა ყოფილა. ჰოდა, ბარემ ურიგო არ იქნება მიზნის მესამე ვერსია (ჩემი აზრით, ყველაზე რეალური) შევიმუშავოთ:

ტოლი ვნახოთ (ანუ მოლდოვა) და იმასთან მაინც გავაგოროთ, საფრანგეთში კი კაცური თამაშის ზეობას ელიან და ჩვენ იქ არაფერი გვესაქმება.





გოგი ახვლედიანის

სვეტი

## ერთი, ჭიდილი, ბლოკნოტი ჩამაგდებინა ხელში

დღესასწაულიო! პრინციპში სხვას რა უნდა ვუთხრა? თავადვე დავწერე; ამ ოხერი ცაცია ხელით, იქნება დიდებული თამაში, ორივე მხრიდან ხასიათები და გმირები-მეთქი.

რატომ დავწერე ასე, არ ვიცი, ალბათ, გასამხნევებლად, ხმაურის გასაძლიერებლად, სტადიონზე ჩვენი სიმღერის მოსასმენად.

გუშინწინ საღამოს „სარბიელში" ინგლისელთა სავარაუდო შემადგენლობას ადგენდნენ. თავი მოვიკალი, ბეტი და ფერდინანდი არ ითამაშებენ-მეთქი. სამი დღე რაიტის სასტარტოში თამაშზე ვლაპარაკობდი (სიმართლე ვთქვა, ჰინჩკლიფს ვითხოვდი და არ გავიდა). ინგლისელთა ვარსკვლავურ შემადგენლობას ვაწვებოდი.

დღესასწაულიო! ამასაც იმიტომ ვფიქრობდი, რომ ასიათასჯერ მენახა, ინგლისელთა სისხლში გამჯდარი ღია, ცეცხლიანი თამაში და ჩვენც ხომ ამისთვის ვართ გაჩენილნი?

დღესასწაული არ გამოვიდა (არა, შედეგს არ ვგულისხმობ, შედეგი რეალური და მოსალოდნელი იყო, მაგრამ ეს არცერთ ჟურნალისტს არ დაუწერია, ნაკრებისადმი სოლიდარობის და სიყვარულის ნიშნად). დღესასწაული არ გამოვიდა იმიტომ, რომ ჰოდლმა, რომელიც ალბათ ყველაზე ახალგაზრდა პროფესორია მწვრთნელებს შორის, უარი თქვა ამ დღესასწაულზე. თამაში წავიდა ისე, როგორც დაგეგმა ამ მაღალმა და სიმპატიურმა კაცმა — არავითარი ინგლისური ტემპი, არავითარი შხუილი და თავგანწირვა. უბრალოდ სიზუსტე, ბრძოლა და კლასი. გოლები არაფრიდან, მაგრამ ძალიან ლოგიკური გოლები.

ამ საქმეს არ სჭირდებოდა ოჩოფეხებზე შემდგარი ოქროსქოჩორა ლივერპულელი. არც ეშმაკის ფეხი იანი, რომელმაც ორ წუთშიც საკმაო რამ მოასწრო.

გავიმეორებ, ეს იყო ჰოდლის თამაში. მეორე გუნდი იქ არ იყო. ჩვენგან დარჩა მხოლოდ თბილისის ეზოებში ნანახი მეტად ლამაზი ცრუ მოძრაობები და ერთგვარი, ლამის ტრადიციად ქცეული ლაზღუელობა. ეს არ იყო სტადიონის ფეხბურთი.

თამაშამდე არ ყოფილა ისეთი განწყობა, აქაოდა წავაგებთო.

ჩვენ რაც შევძელი ვყვიროდით: ლივერპული! ლივერპული! გახსოვდეს „ლივერპული"!

გუშინწინ ღამით ის „ლივერპულიც" ვნახეთ ტელევიზორში — გავიხსენეთ, გავიხარეთ და მორჩა.

ეჰ, სად წასულა ფეხბურთი?

ერთი ჰოდლის ბლოკნოტი ჩამაგდებინა ხელში.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა თამაშის შემდეგ თქვა, ჩვენი ფეხბურთელების ავ-კარგი კარგად ვიცი, ოღონდ მე ის კაცი არა ვარ, ახლა გვარების ჩამოთვლას და ვილაცეების კრიტიკას მივყო ხელიო. მოვა დრო და მწვრთნელი აღარ ვიქნები, მაშინ დავსხდეთ და ვთქვათო.

ეს ჰოდლის ბლოკნოტშიც ჩაწიკწიკებული იქნება, ამიტომ მინდა დავითრიო. თუმცა რა, ისედაც კარგად ჩანდა ყველაფერი, რა ბლოკნოტი ამიტედა?

გუშინწინ ერთი ქომაგი მიმტკიცებდა, რომ საქართველოს დაცვა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მეორე ამბობდა, რომ ინგლისელები მოუხეშავი ხალხია. მესამე, რომ უამრავი ვარსკვლავები გვყავს.

და მხოლოდ ერთმა თქვა, ღმერთმა ქნას, თამაში იყოსო. თამაში — იგივე დღესასწაული.

დღესასწაული!

არ გამოვიდა.

ძნელი იყო გამოსულიყო.

თუნდაც იმიტომ, რომ შესვენებაზე სტადიონის საპირფარეშომ გაჭირვებული ვერ დაიტია და ნირწამხდარი მოქალაქენი იქვე, გრძელ რიგად ჩაწყობილნი კედელს ასველებდნენ.

ამინდი სადღესასწაულო იყო.

მხოლოდ თამაშის შემდეგ წამოვიდა წვიმა, ოღონდ „კოკა-კოლას" ცარიელი ბოთლებისა.

ერთი კარგი რამ კი მაინც მოხდა: ჰოდლმა დაიმახსოვრა გვარი.

ხუთშაბათს, „მეტეხში" ჰოდლმა მისთვის მოსაწონ ქართველთა შორის ქეცბაია დაასახელა, გუშინ საღამოს კი თქვა ქეცბაია კარგი იყოო.

სხვა რა?

გლენი, ალბათ შორს წავა.

ქინქიმ კი ერთი მაინც გაინავარდა, აქაოდა, რაცა ვართ ეგა ვართ, დარდი და კვნესა ვართო.

რაც იყო გუშინ საღამოს, ჩვენია. ჩვენში დევს და მიჭირს ვილაცის ძებნა დავიწყო.

დღესასწაულები ხომ ძალიან ცოტა გვაქვს — ..., ტრადიცია.



# გვაპატიეთ, თუ შეგიძლიათ

მატჩის მიწურულს გიომ ცენტრში მიიღო ბურთი, გამწარებული ორ მეტოქეს იქვე კი გასცდა, მაგრამ საჯარიმოს წინ ლამის ყველა ინგლისელი დაუხვდა. გიომ ფეხი მაჩეტესავით იქნია და ლერწმებივით გადაჭრა მცველები, ბურთი მარცხნივ შეიგდო — კვლავ ორი კაცი მის წინ, იმათი მოტყუებაც მოინდომა და გასცდა კიდეც, მაგრამ ბოლოს წაიქცა, წაიქცა თუ...

— წამაქციეს, მცველმა, არ ვიცი, ადამსი იყო თუ ბათი, ფეხი დამადგა და თანაც მიბიძგა. მანამდე რომ წავქცეულიყავი, მსაჯი ალბათ უყოყმანოდ დანიშნავდა პენალტს, მაგრამ თავი შევიკავე. ბოლოს კი ფეხზე დგომა ჩემს ძალებს აღემატებოდა...

**— ახლა მთავარზე. ინგლისმა გვაჯობა. ულაპარაკოდ გვაჯობა. შენი აზრით, რა იყო წაგების ძირითადი მიზეზი?**

— ყველაფერში გვაჯობეს, ბურთის დაჭერაშიც, ფიზიკურ მომზადებაშიც, მოკლედ, ყველანაირად გვაჯობეს...

მერე, ეს რა „ტრადიცია" დაგვჩემდა, თუ პირველი გოლი გაგვიტანეს, მორჩა, გვგონია, თამაში წაგებულია. სანამ ამას არ გამოვიბრუნებთ თავიდან, არაფერი გვეშველება. არადა იტალიასთანაც გაგვიტანეს პირველი ბურთი, მაგრამ კარგად მაინც ვითამაშეთ და იმას მაინც ვცდილობდით, საპასუხო გოლი გაგვეტანა. აქ კი... რა ვიცი, ძალიან ცუდად ვითამაშეთ.

**— ინგლისში მოთამაშემ ბევრი რამ იცი მათი. რა სიახლე შენიშნე ისეთი ინგლისელებს ამ მატჩში, რაც შენთვისაც კი მოულოდნელი გამოდგა.**

— ჰოდლმა სამი საყრდენი ნახევარმცველი დააყენა, მაკმანამანი საერთოდ არ გამოუშვა მოედანზე. ჰოდლმა გამოიცნო, რა ფეხბურთს ვითამაშებთ, ორი წმინდა ფორვარდი გამოიყვანა, და რაც მთავარია, მოედნის შუაგულში მთელი ჯგრო ჩააყენა, რათა ჩვენი ნახევარლაცვისთვის მოძრაობისა და ბურთის მიღების საშუალება მოესპო.

**— პირადად შენ რა დაგევალა მწვრთნელისგან თამაშის წინ?**

— მე და ჯამარაულს შუაში ბურთი უნდა აგვეღო, რომ იტყვიან, გაგვეგორებინა, ჩვენების შეტევები დაგვეწყო—

**— მომეჩვენა, რომ ძალზე უკნიდან იწყებდი შეტევებს...**

— აბა, რა მექნა, როცა ბურთი ვერაფრით ამოვიტანეთ? ამიტომ ჩავდიოდი უკან და ბურთის ამოტანას ვცდილობდი. შუაში, ანაც წინ რომ დავრჩენილიყავი, ბურთი, უბრალოდ, არც მოაღწევდა ჩემამდე. ეს ალბათ ტრიბუნიდანაც ნათლად ჩანდა. სიტუაცია მოითხოვდა უკან ჩასვლას და ბურთის ამოტანას. თუ დააკვირდი, ყველა გამოგდებული ბურთი თავით მოიგეს, ნახე, რამსიმაღლე მცველები ჰყავდათ? ასე რომ, ბურთის ჩაგდებას და იმის საჯარიმოსთან ამ ბურთის მოსაგებად ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ამიტომაც, შექმნილ ვითარებიდან გამომდინარე ჩამოვდიოდი უკან და ბურთის ამოტანას ვცდილობდი...

**— შენი აზრით, რა უნდა დაგვეპირისპირებინა ინგლისელთათვის წარმატების მისაღწევად?**

— ჩვენ რომ „გვეთამაშა", ჩვენი თამაში რომ გვეთამაშა, ასე არ წავაგებდით. ბულგარელებთან, რომლებიც იმხანად ამაზე ნაკლებ გუნდად არ მიმაჩნდა, მოვიგეთ, გერმანელებთანაც, ასე თუ ისე, ვითამაშეთ, რაღაცა მაინც ვითამაშეთ, დავრბოდით, რაღაცას ვცდილობდით. ახლა კი ვერ გეტყვი, რა მოხდა...

**— ეს ინგლისი უფრო ძლიერია თუ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქე გერმანია?**

— ეს ინგლისი, მე მგონი, ყველაზე ძლიერი გუნდია, ვისაც კი ოდესმე თბილისში შევხვედრივართ...

**— შენი თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?**

— თავს ვერ დავიმშვიდებ და ვერც ვერავინ დამამშვიდებს, მე ხომ ვიცი, რა შემიძლია, რისი შნო მაქვს... მე იმის 80 პროცენტიც ვერ ვითამაშე, რაც შემეძლია.

**— დღეს ყველა ელოდა, რომ შენ ქართველთაგან ყველაზე საუკეთესო იქნებოდი...**

— მე რომ „სიტიში" ვბრაზობ და ვევირივარ, მარტო ვთამაშობ და არავინ მეხმარება-მეთქი, ეს სხვა საქმეა. აქ, ჩვენთან, ნაკრებში, თამაში ყველამ იცის, ჯამარამ, ქეცბამ, ნემსამ, წინ შოთამ. აქ ძალზე ძნელია ლიდერობა.

**— და მაინც, შენ, ასე თუ ისე, გეკავი ეს ძაფი, თუნდაც შენი გარღვევა გავიხსენოთ მატჩის ბოლოს...**

— ასეთს შვიდ გარღვევას ხომ ვერ გააკეთებ? კი, ავიღე ჩემს თავზე, შევედი, მაგრამ მარტო მე რას ვიზამ. საფრთხე ყველა ფეხბურთელისგან უნდა მოდიოდეს. შეუძლებელია, უკანაც ჩახვიდე, წამოიღო ბურთი, გზად ყველა მოატყუო და კარში დაარტყა. ეს შეიძლება ერთი-ორჯერ მოხდეს, მაგრამ მთელი მატჩი ასე ითამაშო — არარეალურია. თანაც, ვისთან...

**— იმ მომენტში არ შეგეძლო მანამდე დაგერტყა, სანამ წაიქცეოდი?**

— ვისაც ფეხბურთი უთამაშია, იცის, რომ ამგვარი გარღვევების დროს ყველაფერი წამის მეასედებში წყდება. ვერ აგიწერ, როგორ მივედი ცენტრიდან საჯარიმომდე, აღარ მახსოვს. ეს ინტუიტურად ხდება. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ ეს უნდა გამეკეთა, დანარჩენი კი უკვე ავტომატურად ხდება. კარში დარტყმაზე რა მოგახსენო, [illegible] პატარა ლრიჭოც კი არ შენიშნავს, კარში რომ დაერტყა.

**— იმუხედავად იმისა, რომ ნაკრებში არ გამოიძახეს, მიშა ყაველაშვილი მაინც ჩამოვიდა თბილისში. შენი აზრით, ყაველას ნაკრებში გამოძახება და თამაში შეცვლიდა რამეს?**

— შეცვლიდა, როგორ არ შეცვლიდა... ყაველას „სიტის" წინა მწვრთნელთან ჰქონდა პატარა უსიამოვნება და ძირითადში იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ცუდ ფორმაში იყო. ამას, მერწმუნეთ, იმიტომ არ ვამბობ, რომ მიშა ჩემიანია და ვიცავ, არა, ყაველა მართლაც კარგ ფორმაშია და მისი არგამოძახება, ჩემი აზრით, შეცდომა იყო. ფეხბურთელის დაძახება მწვრთნელი კომპეტენციაა, მე იმას ვამბობ, რასაც ინგლისში ყოველდღე ვხედავდი...

**— რაკილა „სიტიზე" ჩამოვარდა სიტყვა, მოდი, ბარემ შენს მომავალ გეგმებზე გვითხარი. ეს კითხვა ყველა გულშემატკივარს აღელვებს: როდემდე უნდა ითამაშოს ქინქიმ მეორე დივიზიონის მაჩანჩალა გუნდში?**

— რაც შემზეა დამოკიდებული, იმის 99 პროცენტს, რომ იტყვიან, „ვახურებ". აი, ჩავალ ახლა და ვეტყვი, ისედაც იციან, რომ „სიტიში" აღარ ვითამაშებ.

**— ძირითადი წინადადება კონტრაქტია?**

— ძირითადი წინადადება ფრენსის ლია. ლამის გადავირიო, ჩავალ და გადავალ, მეც არ ვიცი ჯერ როგორ, მაგრამ აუცილებლად გადავალ.

**— ყველაზე რეალური ვისი წინადადებაა?**

— წინადადებები ბევრია, მთავარია გამიშვან. მე ინგლისის პრემიერლიგის პირველ ოთხ-ხუთ კლუბზე უარს არ ვიტყოდი. „ლივერპულზე" კი ნაღდად გართულება მაქვს, მაგრამ საკმარისია ამაზე პირი დავაღო, რომ უმალ ათას სისულელეს შეთხზავენ, ამიტომ ჩუმად ვარ. როგორც კი რამეს გადავწყვეტ, პირველნი თქვენ არ გაიგებთ?

**— ამ მატჩის წინ, ანაც მის შემდეგ, შენს ინგლისელ მეგობრებთან, ფეხბურთელებთან, პირველ რიგში კი მაკმანამანს ვგულისხმობ, ხომ არ გილაპარაკია?**

— მაკმანამანთან ყველაზე ახლოს ვარ, სწორედ მისგან ველოდებოდი გამარჯობა-გაგიმარჯოს და მოკითხვას. მაგრამ, ამოვდივარ გასახდელიდან და უცებ ზურგში ვილაცამ ბურთი მომარტყა, მივიხედე, გესქოინი მიღიმოდა. გაზას კარგად ვიცნობ, ძალზე კარგი ბიჭია და, მართალია, შოტლანდიაში თამაშობს, მაგრამ ინგლისში ხშირად ჩამოდის და როცა ლონდონში ვთამაშობთ ხოლმე, მუდამ ჩვენს სასტუმროში ჩერდება. ჰოდა, მივიხედე-მეთქი. გაზა მიღიმის, რავა ხარო, რამდენადაც დრო გვაძლევდა საშუალებას, რამდენიმე წამი ვისაუბრეთ. მიკითხვ-მოკითხვების მერე გესქოინი კოპელის ამბავს დამეკითხა, გაიგე, გუნდიდან წავიდაო. ვიცი-მეთქი და, მიზეზი რომ ვკითხე, გაზამ მიპასუხა, ინგლისში ასე ამბობენ, გული სტკივაა და იმიტომ გადადგაო...

**— თამაშის მერე თუ ნახე ან გაზა, ან მაკმანამანი, ანაც ვინმე ნაცნობი ინგლისელი ჟურნალისტი?**

— ფეხბურთელები არა და ჟურნალისტებმა კი მთხოვეს ინტერვიუ, მაგრამ ყველა უარი ვუთხარი...

**— ჯგუფში უკვე ორი მატჩი წავაგეთ და საფრანგეთში წასვლის ოცნება ოცნებადვე გვრჩება. ამ ჯგუფში ორი თამაშის წაგება ალბათ ყველა კარს გვიკეტავს, თანაც მაშინ, როცა მთავარ მეტოქეთ ქულა არ დაუკარგავთ. ახლა რა იქნება, რა გზას დავადგეთ?**

— ექვსი თამაში კიდევ დაგვრჩა, რა იცი, რა ხდება. ასე, რაღაც უნდა მოხდეს...

**— ზედიზედ მესამე თამაშია, გოლი არ გაგვიტანია, ამაზე შემაშფოთებელი რაღა უნდა იყოს?**

— არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ [illegible] რომ თუ ბურთი ვერ [illegible] თამაშს როგორ მოვიგებთ?

**— წელიწადზე მეტია, ნაკრებს შინ, ეროვნულ სტადიონზე არ უთამაშია, ამან თუ იმოქმედა ბიჭებზე, შენი აზრით?**

— რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ამანაც იმოქმედა, რა ხანია, შინ არ გვითამაშია და ალბათ ყველა მცირედ მაინც დაძაბულნი ვიყავით.

**— იმაზე რას იტყვით, რომ ასი ინგლისელი უფრო მეტად ომახიანობდა, ვიდრე სამოცი ათასი ქართველი...**

— რას იზამ, ეს ჩვენი სენია, ჩვენთან გულშემატკივრობა არ იციან შეიძლება გულით ძალიან უნდათ, მაგრამ არ გამოხატავენ. „სიტის" ქომაგები ავიღოთ, 0:4-საც რომ ვაგებდეთ, მაინც თავდავიწყებით გვქომაგობენ. მე ალბათ მივეჩვიე ასეთ გულშემატკივრობას და ჩვენი ტრიბუნების სიჩუმე ძალზე მხვდება გულზე. ჩვენ ძალიან გვჭირდება მხარდაჭერა, არის მომენტი, როცა გულშემატკივრის ყიჟინა გაფხიზლებს და საბრძოლველად განგაწყობს. მგონი, ჩვენმა გულშემატკივარმა ინგლისს უფრო მეტი ტაში დაუკრა. კი, მეტოქე ღირსეულად უნდა მიიღო, მაგრამ, მე მგონი, თამაშისას შენიანებს უნდა უქომაგო და თუ ვერ მოიგეს, თამაშის მერე მეტოქისთვის ტაშის დაკვრას წინ რაღა უდგას? დღეს ისე იყო საქმე, ხალხმა ჩვენზე ქილიკაც კი დაიწყო, კი, შეიძლება ვიყავით კიდეც ამის ღირსი, მაგრამ გულშემატკივარს ეს სახელი ხომ სწორედ ამიტომ ჰქვია, რომ როცა გიჭირს, მაშინ დაგიჭიროს მხარი?

**— და მაინც, ახლა ჩემს მაგივრად შენს წინ რომ ათასობით ქართველი გულშემატკივარი იდგეს, რას ეტყოდი მათ?**

— მე მესმოდა, მათი „მიდი, გიო", მე ვგრძნობდი, რომ ჩემი იმედი ჰქონდათ, გვაპატიონ, თუ შეუძლიათ, როცა იქნება, ხომ მოვიგებთ და გავახარებთ, გულს ნუ გაიტეხავენ. ჩვენს გულშემატკივარს რომ ფეხბურთი ესმის, ისე, მგონი, მსოფლიოში არავინ იცის, ევაა, ვერ გამოხატავენ, არადა, რა საჭიროა ჩვენთვის... მოკლედ, ჩვენზე გულგატეხილ გულშემატკივარს ლამაზ ფეხბურთს და მოგებას ვპირდებით.

**— პირადად შენ რას პირდები გულშემატკივარს?**

— ერთი იმას ვპირდები, რომ ძლიერ გუნდში გადავალ, მერე კი იმას, რომ პირველივე თამაშში მათ სახელზე გოლსაც გავიტან...

**მამუკა კვარაცხელია**

# ჟურნალისტები ზედმეტნი აღმოჩნდნენ

რა უნდა მოიმოქმედოს კაცმა, როცა სხვა კაცთან საქმიან ურთიერთობაში ჩვეულებრივ, ნორმალურ საზოგადოებაში მიღებული (ჩვენ რომ ადამიანურს ვეძახით) დამოკიდებულება შედეგს ვერ გამოიღებს? თანაც, თუ ასეთი რამ არა ერთხელ და ორჯერ მომხდარა?

ალბათ, უნდა ადგეს და სხვა რამ ხერხი სცადოს — „თუ შეიძლება", „იმედი მაქვს, მოაგვარებთ", „გთხოვთ, გაითვალისწინოთ" და ამგვარები სხვა სიტყვებით შეცვალოს და ტონალობაც შესაფერისი შეურჩიოს.

ის, რაც გუშინ სტადიონზე მოხდა, უფრო ზუსტად, პრესის ლოჟად სახელდახელოდ მონათლულ სექტორში, იმას უფლებას არ გვაძლევს, რომ არსენალში კვლავ „გვეთაყვა", „უკაცრავად" და სხვა ამდაგვარი დავიტოვოთ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო!

პრესის ლოჟა ოკუპირებული დაგვხვდა.

იქ ყველასთვის მოინახა ადგილი, ჟურნალისტები კი ზედმეტნი აღმოჩნდნენ.

ამგვარი რამ ალბათ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს.

ოკუპანტებში ის ხალხი სჭარბობდა, ვისაც სტადიონზე წესრიგის დაცვა ევალებოდა (!), აქვე იყვნენ იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, ჟურნალისტთა აკრედიტაციის მოსაწესრიგებლად ცხრა ნოემბრის მატჩის წინ, „გადამწერელი ზოიები", რომ მიიღეს და სარბენ ბილიკებთან მიგვიჩინეს ადგილი.

ეს „ოპერაცია" იმით დამთავრდა, რომ ვერც ერთმა ჟურნალისტმა თავის ადგილამდე ვერ მიაღწია.

„ოპრეცია" კი დამთავრდა, მაგრამ საქმე დახურულად ვერ გამოცხადდება.

ეროვნულ სტადიონზე აკრედიტებულ ყველა ჟურნალისტს, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრებს ვიწვევთ საგანგებო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება სამშაბათს, 13 ნოემბერს, 12 საათზე ეროვნული სტადიონის ისტაფთა კლუბში.

**ელგუჯა ბერიშვილი**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (AIPS) კოორდინატორი კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში.**

# ეჰ!

ფეხბურთით გაწბილებულს ქვა აღმართში მოგვეწია. თქვენთვის, ჩვენო მკითხველო, აქ ამ ადგილზე, ამ სიტყვების ნაცვლად, ინგლისელ ფეხბურთელთა მატჩისშემდგომი კომენტარი გვქონდა დაგეგმილი. საამისოდ ჩავედით გასახდელში. იქ ვიდექით ქართველი და ინგლისელი ჟურნალისტების ასე, შვიდკაციანი ჯგუფი. გადაივლებდნენ ნაჯაფარი ფეხბურთელები წყალს, გამოვიდოდნენ ოთახიდან, ორიოდ სიტყვას გვეტყოდნენ და სულ ეს იქნებოდა. ვინ გაცალა? ქართველმა პოლიციელებმა გადით აქედანო. კი ბატონო, თუ სასტიკი ბრძანებაა გაცემული, რომ ყველანი, ჟურნალისტი თუ გარეშე გარეთ გაუშვან, რა გაეწყობა. ცუდია, კაცს მუშაობის საშუალებას რომ გართმევენ, უფრო სწორედ კი მკითხველს (მათ შორის საკუთარ თავს) საინტერესო ცნობების გარეშე სტოვებენ, მაგრამ იქ სხვა რამ შევნიშნე, ვხედავ, ქართველ ჟურნალისტებს გვეხება ეს შეუვალი ბრძანება, ინგლისელებს კი არა. რა ხდება-მეთქი, ვკითხე ერთ ოფიცერს, იმან კი გადი ეხლა აქედან, ბევრს ნუ ლაპარაკობო.

ახლა იქ, უცხოეთში როგორაა საქმე, ისიც ვთქვათ. დამემოწმებიან კოლეგები, რომ ბულგარეთში, იტალიასა თუ პორტუგალიაში და სხვაგანაც, ყველა ქვეყანაში, უპირველესად საკუთარი თავი უყვართ. სტუმრის ხათრით თავისიანს არც სხვაგან გადასვამენ და მითუმეტეს იმას არ იზამენ, რომ თავისი შეზღუდონ, სხვისი კი მის ბარჯზე გაალაღონ. პირიქით, ისეთები უფრო ხშირია, თავისას ზაზგასმით პატივს რომ სცემენ, ჩასულს კი ათასგვარ ბიუროკრატიულ თუ ნამდვილ კორდონს დაახვედრებენ.

ჩვენ, ქართველები, იქაც გაწვალებულნი გამოვდივართ და აქაც. ისე კი, ენატრულობ იმ დღეს, მე და ჩემი თანამემამულე წესრიგის მცველი თავაზიანად რომ გავეღიმებით ერთმანეთს. ეჰ, იქამდე ჯერ ძალიან შორსაა.

**ილია ბაბუნაშვილი**

თამაშის წინ ერთმა მეგობარმა, პროგნოზის გაკეთებაზე ცივი უარი რომ [illegible] მითხრა, მოგების იმედი რომ არ გქონდეს, ამოდენა გზაზე [illegible] ძელი [illegible] კი ვერაფერი ვუპასუხე. ჩემი მეგობარი მართალი [illegible] ლი, თუნდაც ლიხტენშტაინელი), თავის თანამემამულეთა გამარჯვებაზე არ ეოცნებოს მაშინაც კი, როცა მეტოქე ფეხბურთის მშობელი ქვეყნის ეროვნული ნაკრები და დღევანდელი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავს. თუმცა, ლიხტენშტაინელი ქართველთან რა მოსატანია! ჰოდა, პრაღიდან თბილისისკენ მომავალ თვითმფრინავში მჯდომს, მეც გამიტაცა ფიქრებმა. უნებლიედ მომელანდა სიმჩნის კარში, მოფართხალე ბურთი, მოზეიმე ქართველები და თავჩაღუნული ინგლისელები. მაგრამ ეს ოცნება უფრო იყო, ვიდრე იმედი. იმედი ხომ ოცნებისგან იმით განსხვავდება, რომ გარკვეულწილად რეალობითაც უნდა იყოს ნასაზრდოები. დღევანდელი, საფეხბურთო რეალობა კი ისეთია — რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ამის აღიარება — რომ საქართველო ინგლისს ვერ უნდა უგებდეს.

მაშ რაღაზე გვწყდება გული?

იმ ჩემი მეგობრისთვის, ზემოთ რომ ვახსენე, ალბათ ასე უნდა მეპასუხა: იმედის რა მოგახსენო, ოცნებით კი ვოცნებობ-მეთქი.

გამოდის, რომ სტადიონზე იმედგაცრუებული მივედი? არა. იმედი მქონდა. იმედი იმისა, რომ თამაშს ვნახავდი. თამაშს, რომელშიც, შესაძლოა, დავმარცხებულიყავით, მაგრამ მეტოქეს სამ ქულას ჯაფით მაინც დავუჯენდით.

მეტყობა, მაინც არასწორად შემიფასებია დღევანდელი საფეხბურთო რეალობა. იგი უფრო მწარე გამოდგა, ვიდრე მეგონა: სა-

# ჩრდილოეთ პოლუსიდანაც ჩამოვალ...

ქართველის ნაკრები მზად არ აღმოჩნდა არათუ ინგლისელების დასამარცხებლად, არამედ იმისთვისაც კი, ისინი სრული დატვირთვით აეთამაშებინა.

თბილისური ვოიაჟი ალბიონელთათვის — დროში ხუთსაათიან სხვაობასა და ორჯერ ამდენსაათიან ფრენას თუ არ ჩავთვლით — იოლი გასეირნება უფრო გამოდგა, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ადეკვატური მოგზაურობა. წაგებაზე მეტად სწორედ ეს არის გულდასაწყვეტი. ვერაფრით განვთავისუფლდი შეგრძნებისგან, თითქოს არც ერთმა ჩვენმა ფეხბურთელმა არ იცოდა, რისთვის გავიდა მინდორზე, რა ევალებოდა ან როგორ უნდა ემოქმედა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.

ჩვენებმა არც ის იცოდნენ, როგორ დაელაშქრათ მეტოქის კარი და არც ის, როგორ დაეცვათ საკუთარი. ამიტომ, ცხადია, ვერც ერთი მოახერხეს და ვერც მეორე იმედი გამიწბილდა.

...ოცნებას კი კაცი ვერასოდეს გადაეჩვევა. მეც ალბათ კიდევ ბევრჯერ მომელანდება იტალიელთა და პოლონელთა, თუნდაც იგივე ინგლისელთა კარის ბადეში ჩვენს მიერ გაზვნული ბურთები. და პრაღიდან კი არა, ჩრდილოეთ პოლუსიდან ჩამოვალ იმის სანახავად, როგორ იქცევა ეს ზმანება სინამდვილედ.

**დავით კაკაბაძე**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29